MES 0 21 0000549059

09/06/2021

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2021 წლის 25 მაისს.**

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ზურაბ ორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), ქირურგიული სტომატოლოგიის მიმართულების პირის ღრუს ქირურგიისა და იმპლანტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარე);

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

თამარ ვეფხვაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;

ლელა სალაყაია - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი;

ივანე აბაშიძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;

გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი განათლების მიმართულებით;

ბორის ლეჟავა – შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში, შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" პროფესორი მარკეტინგის მიმართულებით;

დავით ბოსტოღანაშვილი - შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი;

ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
აკაკი ხელაძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტ-ბიზნესის მიმართულებით;
ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
მარინა ქორიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი;
ზურაბ გვიშიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:
ლაშა მარგიშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
ლალი გიორგიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ქეთევან ინანაშვილი – უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამარ აფრასიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
თორნიკე ბექაქური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო ალავიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
სოფიკო ქურასბედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ანა ჯავახიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ანი ბილანიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
დავით ბურჯანაძე – უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო გულიაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
1. **ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი „ანრი“:**

- რუსლან დიასამიძე - რექტორი;

- გურამ ქათამაძე - ვიცე-რექტორი;
- რუსუდან დიასამიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ლია ფარტენაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

2. სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- მერაბ ხალვაში - რექტორი;
- ირაკლი კორძაია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მ/შ;

4. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი:

- **თამარ ლაჩაშვილი -** იურიდიული სამსახურის თანამშრომელი

5. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი:

- ანკა თაბუკაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):
იანუშ ურიაში;
ია მოსაშვილი;
ნინო ამირანაშვილი;
ნინო ორაგველიძე;
გიორგი გვენეტაძე;
ქეთევან აფთარაშვილი;
ლილი შატბერაშვილი.

სხვა დამსწრე პირები:

- მარიამ მესხიშვილი
- გიგი ჯერიაშვილი

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 15:05 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ზურაბ ორჯონიკიძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:
1. შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი „ანრის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
4. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი დღის წესრიგი:

1. შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი „ანრის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
4. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა.

1. **შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი „ანრის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;**

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მათ არ ჰქონდათ თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, იანუშ ურიაშმა განაცხადა, რომ წარმოადგენდა პოლონეთის შჩეცინის საზღვაო აკადემიას, მას ხვდა პატივი მის ქართველ კოლეგებთან ერთად შეეფასებინა შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი „ანრი“, მან განმარტა, რომ თავად დაიწყებდა სტანდარტების განხილვას და სთხოვა კოლეგებს საჭიროების შემთხვევაში დაემატებინათ ინფორმაცია. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა ხარვეზები სტანდარტებთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა საკმაოდ მკაცრი შეფასება, თუმცა ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ეს იყო ავტორიზაციის ვიზიტი. პირველ სტანდარტთან (უნივერსიტეტის მისიასთან) დაკავშირებით განაცხადა, რომ იყო გაზვიადებული და არარეალისტური. გაწერილი იყო რეგიონულ დონეზე, რაც გასაგები და მიღწევადი იყო, თუმცა, საერთაშორისო დონესთან მიმართებით, სიტუაცია მეტად პრობლემატური იყო. მაგ., უნივერსიტეტის მხრიდან მითითებული იყო, რომ

სტუდენტებმა/კურსდამთავრებულებმა C1 დონეზე იცოდნენ ინგლისურიენა, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფმა ამის ვერანაირი მტკიცებულება/ინდიკატორი ვერ მოიძია. მისი თქმით, აცდენა იყო სწავლების მიზნებთან დაკავშირებით, სწავლება ორიენტირებული იყო მომავალი ზღვაოსნების აღზრდაზე და დიდწილად ემყარებოდა STCW („მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“) კონვენციას, რომელიც არ მოითხოვდა უმაღლეს აკადემიურ მოსწრებას იმისათვის, რომ ლიცენზია მინიჭებოდა ზღვაოსანთა კურსდამთავრებულს, მთავარი ეჭვი სწავლის მიზნებთან დაკავშირებით გაჩნდა, როდესაც STCW კონვენციის მიღწევის დონე არ იყო იგივე, რაც უმაღლესი აკადემიური მიღწევის დონე და აქ იყო გარკვეული აცდენა, რაც ნიშნავდა იმას, რომ აკადემიური მიღწევა მოითხოვდა სხვადასხვა კომპონენტებს, მათ შორის ინტერნაციონალიზაციას, მობილობას და ა.შ. ინტერნაციონალიზაცია და კვლევის სხვადასხვა კომპონენტები არეკლილი უნდა ყოფილიყო უნივერისტეტის პროგრამებში, თუმცა ამის აღქმა და გააზრება არ იყო საკმარისად მაღალ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ უნივერისტეტი იყო საკმაოდ პატარა და კერძო ჯგუფის მიერ მართული, მაინც არ იყო კარგად ურთიერთ გაზიარებული ხედვები და უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა, როგორც პერსონალში, ასევე სტუდენტებში. მაგ., სენატი მთლიანად დამოკიდებული იყო დირექტორებზე, რადგან ყველა მათგანი იყო ადმინისტრაციული პერსონალი. იგივეს თქმა შეიძლებოდა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემასთან დაკავშირებით, რომელიც წინა შეფასების შემდეგ საერთოდ არ შეცვლილა, ასევე, ზოგიერთი პროგრამა, რომელიც წინა აკრედიტაციის შემდეგ არ შეცვლილა. პროგრამაში დამოუკიდებელი სწავლის მეთოდები, უნარები, სოციალური სწავლის შედეგები, რომლებიც აქვს სოციალური მხარე/ასპექტები ეს ყველაფერი მთლიანად არ იყო ამოკლებული, მაგრამ დაბალ დონეზე იყო. აკადემიური პერსონალი ავლენდა მოტივაციას, თავისი სასწავლო კურსების სწავლებით და მოვალეობის შესრულებით, თუმცა ამ მხრივ უფრო ფართო გაგებით აკადემიურ ჩართულობაში არ იღებენ მონაწილეობას, მაგ., მობილობა, კვლევა და ა.შ. სტუდენტები იყვნენ მოტივირებულნი, იცოდნენ სწავლის მიზანი, მაგრამ მათ არ ჰქონდათ საკმარისი ინფორმაცია შესაძლებლობებზე, რომლებიც იყო სასწავლებელში და მათ უფლებებზეც. ინფრასტრუქტურის შესახებ მან განმარტა, რომ ადგილი ეკუთვნოდა განსახილველ დაწესებულებას და ჰქონდა კარგი ინფრასტრუქტურა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები, მათ შორის, ლიფტთან, ბიბლიოთეკის რესურსების გაზრდა-განვითარებასთან დაკავშირებით და ა.შ. სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულება მიყვებოდა STCW კონვენციას და შესაძლებელი იყო საუბარი აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევაზე, მაგრამ უნივერსიტეტს ჰქონდა დამოკიდებულება, რომ რადგან კოლეჯის დონეზე იყვნენ არ ისახავდნენ მიზნად უფრო აღმატებულ აკადემიურ აქტივობებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქართველ კოლეგებს მიმართა თუ რაიმის დამატება სურდათ, დაემატებინათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა საერთაშორისო ექსპერტს თანამშრომლობისათვის და მიმართა ქართველ ექსპერტებს სურვილის სემთხვევაში თითოეული სტანდარტის მიხედვით წარმოედგინათ ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ამომწურავად ისაუბრა ყველა საკითხთან მიმართებით , დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში გააკეთებდნენ განმარტებებს.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი, რუსუდან დიასამიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს ჰქონდათ საბჭოს მიერ მათი საქმიანობის ობიექტური შეფასების იმედი, რადგან მათ დარჩათ შთაბეჭდილება, რომ დასკვნა დამძიმდა ხელოვნურად, დაწესებულება მზად იყო გაეთვალისწინებინა რეკომენდაციები და უმეტესი რეკომენდაციები სხდომამდე იქნა

გაზიარებული/შესრულებული, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საბიბლიოთეკო რესურსებიც. მისი თქმით მიმდინარეობდა რემონტი სამკითხველოს გასაფართოებლად, შეძენილი იყო კომპიუტერები და ჰქონდათ კომპიუტერების კლასიც. შეცვალეს საევაკუაციო კიბე, კარი. კვლევით მიმართულებით დადეს ახალი მემორანდუმები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტთან და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, გამოყვეს ახალი სივრცე არქივისთვის, ყველა სველ წერტილს რეკომენდაციის გათვალისწინებით გაუკეთეს კარი, ასევე ბევრი სხვა რეკომენდაცია იყო შესრულების პროცესში და დაწესებულება ყოველთვის მზად იყო რეკომენდაციების გასათვალისწინებლად. მისი თქმით, ცენტრის პოზიციაც ყოველთვის იყო, რომ ექსპერტთა ვიზიტი არ იყო გამიზნული სასწავლებლის დასასჯელად და ავტორიზაციის გასაუქმებლად, თუმცა დასკვნის გაცნობის შემდეგ დარჩათ სხვანაირი შთაბეჭდილება.. დაწესებულება არ დაეთანხმა მე-3 და მე-6 სტანდარტის შეფასებას, მე-6 სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება მოთხოვნებს“, მე-3 კი „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. დაწესებულებამ, პარალელურად როგორც პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამაც გაიარა ავტორიზაცია და მსგავსი მწვავე შეფასება იქ არ ყოფილა, ამიტომ სთხოვა საბჭოს წევრებს, რომ მოესმინათ დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და შეეფასებინათ ობიექტურად.
დაწესებულების წარმომადგენელმა, გურამ ქათამაძემ განაცხადა, რომ მე-3 სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, როგორც ექსპერტებმა აღნიშნეს, დაწესებულებამ 2019 წელს გაიარა მონიტორინგი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და იმ შეფასების დროსაც არ ყოფილა ასეთი მწვავე პროგრამული ნაწილის შეფასება, მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციები დაწესებულებამ მოკლე ვადაში გაითვალისწინა/შეასრულა. მე-3 სტანდარტთან შესაბამისობაში ხარვეზი მონიტორინგის დროს არ გამოკვეთილა. წარდგენილ დასკვნაში არ ყოფილა საუბარი პროგრამის შინაარსობრივ მხარეებზე. მათი საგანმანათლებლო პროგრამები რეგულირებადია და ეყრდნობოდა STCW კონვენციის მოთხოვნებსა და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ ინიცირებით შექმნილ და ცენტრის მიერ დამტკიცებულ დარგობრივ მახასიათებელს. პროგრამებმა აკრედიტაცია მიიღეს 2017 წელს და აკმაყოფილებდა დარგობრივ სტანდარტებსა და მის ყველა მოთხოვნას. მე-3 სტანდარტის შეფასების მთელი სიმწვავე რამდენიმე რეკომენდაციით იყო გამოწვეული, რომლებიც ძირითადად ერთიდაიგივე შინაარსს ატარებდა, რასაც სხვა სტანდარტების შეფასებაშიც ხვდებოდნენ. როგორც არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნეს, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განვითარებისა და ცვლილებების შეტანის წესები, რაც დადასტურებული იყო დოკუმენტურად, 2019 წლის მონიტორინგის შედეგად, რის მიხედვითაც ექსპერტთა შეფასება არ შეცვლილა, როგორც ექსპერტები აღნიშნავდნენ და დასკვნაც ადასტურებდა, დაწესებულება სისტემატიურად ახორციელებდა შეფასებასა და გამოკითხვებს. ჩატარდა სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები, ხორციელდებოდა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, ამის მიუხედავად კომპონენტი 3.1-ში მითითებული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ უნდა განავითაროს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- პროგრამის განვითარებაში უნდა ჩაერთოს ყველა დაინტერესებული მხარე.

მისი თქმით, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი, პროგრამების დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, გაუქმების წესი და პროცედურები, რაც შესაბამისობაში იყო

კანონმდებლობასთან. დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსში არ განხორციელებულა ცვლილებები არ უნდა გამოეწვია სტანდარტის შეფასება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
ფაკულტეტის დეკანმა განაცხადა, რომ მათი საგანმანათლებლო პროგრამები სპეციფიური,რეგულირებადი იყო და სრულად შეესაბამებოდა დარგობრივ მოთხოვნებს, ამასთანავე, ექსპერტებმა დასკვნაში აღნიშნეს, რომ დამსაქმებლები კმაყოფილნი იყვნენ კურსდამთავრებულთა უნარებით და მაღალი იყო დასაქმებულთა მაჩვენებელი, სტუდენტებს დაწესებულება უზრუნველყოფდა ზღვაში საცურაო პრაქტიკით და ა.შ., რაც ადასტურებს, რომ დაწესებულება კურსდამთავრებულებს აძლევდა იმ ცოდნასა და უნარებს, რაც აუცილებელი იყო მათი წარმატებით დასაქმებისათვის. ამასთან, დასკვნიდან დაწესებულების სუსტ მხარედ წარმოდგენილი იყო პრაქტიკაზე ორიენტირებულობა, დაწესებულება ავითარებდა მის კვლევით საქმიანობას, გადადგმული იყო მრავალი ნაბიჯი, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვნეებლიდან გამომდინარე მათი პრაქტიკული უნარების განვითარება პროგრამის ძლიერ მხარედ იყო მიჩნეული.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ინგლისური ენის კომპონენტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებამ მრავალი ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით, მოწვეული ჰყავდათ საერთაშორისო უცხო ენათა ინსტიტუტიდან ინგლისური ენის სპეციალისტი, რომელიც გრძელი ვადით იყო მიწვეული, თუმცა პანდემიამ ხელი შეუშალათ, არა მხოლოდ მათ, არამედ ყველა დაწესებულებას შეუშალა ხელი სხვადასხვა მიზნების განხორციელებაში და შესაბამისად ეს იყო ყველაზე დიდი მიზეზი იმისა, რომ დაწესებულებას ჰქონდა დიდი ამბიციები, მისია მაღალ დონეზე იყო გაწერილი, თუმცა არ სრულდებოდა, მისია შემუშავდა 2019 წელს, სტრატეგიული გეგმაც გაწერილი იყო 7 წელზე, შესაბამისად დაწესებულებას ჰქონდა დრო მიზნების მისაღწევად. მან სთხოვა საბჭოს დაწესებულებისთვის შეღავათი გაეწიათ შეფასებისას და გაეთვალისწინებინათ, რომ პანდემიამ ძალიან ბევრ რამეში შეუშალა ხელი, აზერბაიჯანიდან მიწვეული პედაგოგი დროზე ადრე დაბრუნდა სახლში, სცადეს ინგლისური ენის ლექციების/მასტერკლასების დისტანციურად გაგრძელება, თუმცა მას არ ჰქონდა ისეთი ეფექტი, როგორც ადგილზე ჩატარებულ ლექციას ექნებოდა. ამ ეტაპზე, დაწესებულებას შეძენილი ჰქონდა ინგლისური ელექტრონული პროგრამა 20 სტუდენტისათვის და მათი მოსაზრებით სტუდენტებისთვის დიდი სტიმული იქნებოდა და დაინტერესდებოდნენ ინგლისური ენით. რაც გულისხმობს, რომ დაწესებულებამ გადადგა ნაბიჯები ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგაც.
კვლევითი საქმიანობის შესახებ მისი განცხადებით, დაწესებულება არ ეთანხმებოდა შეფასებას „არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან“, რადგან 2019 წლიდან ძალიან ბევრი ნაბიჯი ჰქონდათ გადადგმული ამ მიმართულებით, 2019 წლის ავტორიზაციის მონიტორინგის ვიზიტის დროსაც კი არ ყოფილა მე-6 სტანდარტი ასე მწვავედ შეფასებული. მას შემდეგ დაწესებულებას ბევრი კვლევა ჰქონდა ჩატარებული და საბჭოს სურვილის შემთხვევაში შეეძლო პრეზენტაცია გაეზიარებინა მათთვის, რომელზეც ასახული იყო თუ რა კვლევები და რა მიმართულებით იყო წარდგენილი, ასევე 26 ივნისს დაგეგმილი იყო საერთაშორისო კონფერენცია, რომლისთვისაც მიმდინარეობდა მზადება, წლის ბოლოს დაგეგმილი იყო რესპუბლიკური კონფერენცია, დაწესებულება აპირებდა გაეთვალისწინებინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და სამეცნიერო მიმართულებით უფრო მეტ საქმიანობას განახორციელებდნენ.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, ლია ფარტენაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მისი განცხადებით ინგლისური ენის გაძლიერებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა იმსჯელეს, გადაწყვიტეს და განხორციელების პროცესში იყვნენ, რომ შეემუშავებინათ და დაემატებინათ უცხო ენის კურსები, სადაც მათ სტუდენტებს ექნებოდათ შესაძლებლობა დამატებით გაევლოთ ენის კურსები. მე-6 სტანდარტთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შეფასება არ იყო ობიექტური, რადგან 2019 წლის მონიტორინგის შედეგად, როდესაც მარეგულირებელი დოკუმენტებიც კი არ ჰქონდათ გაკეთებული, შემდეგ კი შეიმუშავეს სამეცნიერო კვლევითი

საქმიანობის წესი და პროდუქტიულობა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის თვითშეფასების/შეფასების ფორმები, რომლებიც უკვე განხორციელდა და ექსპერტებს წარუდგინეს, დაწესებულებამ წინა მონიტორინგის შემდეგ ჩაატარა, მიზნობრივი/გამოყენებითი 5 კვლევა, რომელთა ჩატარებისთვის გამოყოფილი/გახარჯული გრანტი შეადგენდა 20 000 ლარს, ყველა კვლევაში ჩართული იყვნენ მათი სტუდენტები და ყველა კვლევა ორიენტირებული იყო შემდგომში სწავლებისთვის გამოყენებაზე, აქედან გამომდინარე მათ ჩაატარეს არა მხოლოდ კვლევები, არამედ კონფერენციებიც, გასულ წელს ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია დაწესებულების ორგანიზებით, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ აზერბაიჯანის, ყირგიზეთის, უკრაინის სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლები, ასევე საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების წარმომადგენლები, ოკეანის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა შემეცნებით კონფერენციაა „წყალი და ადამიანი“, სადაც ჩართულნი იყვნენ დაწესებულების პედაგოგები, მოწვეული პერსონალი და სტუდენტები, ევროპის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა კონფერენცია „ნატო, ევროკავშირი და საქართველო“, სადაც ასევე ჩართულნი იყვნენ აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, დაწესებულებას დაგეგმილი ჰქონდა მეორე საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც 26 ივნისს უნდა გამართულიყო, დაწესებულებას მიმდინარე წლის ბოლოს დაგეგმილი ჰქონდა რესპუბლიკური კონფერენცია, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რუსუდან დიასამიძე სხვადასხვა საერთაშორისო/ადგილობრივ კონფერენციებში. პლაგიატის ცნობადობის ამაღლებასთან დაკავშირებით იყო რეკომენდაციები, რომ პერსონალი არ არის ინფორმირებული, რასაც დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა, რადგან ძალიან ბევრი სამუშაო შეხვედრა ტარდებოდა ამასთან დაკავშირებით და ბოლო სამუშაო შეხვედრა ჩატარდა მიმდინარე წლის თებერვალში, სადაც საუბარი იყო პლაგიატის ცნობადობის ამაღლებაზე, მისი მოხმარების წესების გაცნობასა და ა.შ. პლაგიატზე გავიდა რამდენიმე თემა, რად წარედგინათ ექსპერტებსაც, მაგრამ მათ არ გაითვალისწინეს, თუმცა დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაშიც ისაუბრა აღნიშნულ საკითხზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განცხადა, რომ დასკვნაში რეკომენდაციები მეორდებოდა სხვადასხვა სტანდარტში, მაგ., მე-2, მე-5, მე-6 სტანდარტში იყო საუბარი პლაგიატზე, მე-6 სტანდარტში დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს, მაგრამ მე-2, მე-5 სტანდარტში ერთიდაიგივე რეკომენდაციები იყო გამეორებული იმ სტანდარტებში, რომლებსაც საერთოდ არ ეხებოდა. 3 რეკომენდაცია, რომლებზეც აგებული იყო მთლიანი დასკვნა ეხებოდა პლაგიატს, ინგლისურის დაბალ დონესა და ჩართულობას. დაწესებულებამ უკვე ისწავლა და რეალურად მუშაობდნენ ჯგუფურად, მთელი პერსონალი ჩართული იყო, თუნდაც ის ფაქტი, რომ დასკვნაში ეწერა „პერსონალმა იცის რა არის თვითშეფასება და ჩანს, რომ ისინი მონაწილეობენ“, რაც ძალიან ბევრს ნიშნავს, რადგან 2019 წლიდან ძალიან ბევრი წინსვლა ჰქონდათ და დაწესებულებამ გამოთქვა მზაობა რეკომენდაციების გასათვალისწინებლად და საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს და სთხოვა ქართველ ექსპერტებს განეხილათ ის სტანდარტები, რომლებზეც დაწესებულებამ ისაუბრა.

ექსპერტმა, ია მოსაშვილმა 3.1 კომპონენტთან და მე-6 სტანდარტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 3.1 კომპონენტთან გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის განვითარებას, მან ხაზი გაუსვა სიტყვა „განვითარება“, ექსპერტთა ჯგუფი ითხოვდა განვითარებას, რაც არ გულისხმობდა მეთოდოლოგიის არ არსებობას, განვითარება გამოიხატებოდა იმაში, რომ მეთოდოლოგიის საფუძველზე შემუშავებული პროგრამა არ არსებობს, უბრალოდ არსებობს მეთოდოლოგია. პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ მათ არ ახსოვდათ როდის შემუშავდა აღნიშნული მეთოდოლოგია, ვინაიდან არ არსებობს მასთან დაკავშირებული პროგრამები იწვევდა ეჭვს, რომ ცალკე იყო მეთოდოლოგია, ცალკე - პროგრამები და თუ ოდესმე გააკეთებენ

პროგრამას დაეფუძნება აღნიშნულ მეთოდოლოგიას, თუმცა ამ ეტაპზე მასზე დაყრდნობით შემუშავებული პროგრამები არ არსებობდა, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა თქვა, არა „შეიმუშავოს“, არამედ „განავითაროს“, რადგან ცალკე არაფერს ნიშნავდა.
დაინტერესებული მხარეების ჩართვასთან დაკავშირებით ექსპერტმა განაცხადა, რომ მათ ვერ დაინახეს ვერცერთი დაინტერესებული მხარისგან, მათ შორის ვერც სტუდენტებისგან, არცერთ სტუდენტს არ უთქვამს, რომ ის იყო პროგრამის განვითარებაში ჩართული, ცხადაია პროგრამების შემუშავების პროცესში ვერ ჩაერთვებოდნენ, რადგან ძალიან ადრე იყო პროგრამები შემუშავებული, თუმცა განვითარების პროცესშიც უნდა დაენახათ, რაც არ ჩანდა არც სტუდენტების, არც კურსდამთავრებულების შემთხვევაში, ერთი შემთხვევაც კი არ ჰქონიათ და შესაბამისად ვერ აღწერეს სხვაგვარად, ასევე ვერ დაინახეს დამსაქმებლების ჩართულობა, ისინი კოლეჯის დადებითი მხარის შესახებ ამბობდნენ, რომ ასაქმებდნენ განსახილველ კოლეჯ დამთავრებულ კურსდამთავრებულებს, მაგრამ რის საფუძველზე, ჩართულნი იყვნენ თუ არა პროგრამების განვითარების პროცესში, ჰქონდათ თუ არა ინფორმაცია პროგრამების შესახებ ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაინახა, ისინი ამბობდნენ, რომ ასაქმებდნენ, ზოგიერთი მათგანი კმაყოფილებასაც გამოთქვამდა, თუმცა ისინი ჩართულნი უნდა იყვნენ პროგრამის განვითარებაში, რაც მათგან არ ჩანდა და არც პროგრამის დეტალებს იცნობდნენ.
გამოკითხვისა და მონიტორინგის ანალიზის შედეგად დაწესებულებას უნდა განეხორციელებინა, რაღაც მექანიზმები, მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა ნახა გამოკითხვები, ჩატარებული მონიტორინგი, მაგრამ მათ ანალიზს რა რეაგირება მოყვა ვერ დაინახეს, ჩატარებული კითხვარები ნახეს და სტუდენტები საუბრობდნენ, რომ ასეთ გამოკითხვებში მონაწილეობა მიუღიათ, თუმცა აღნიშნული გამოკითხვების შედეგად, რომ გაანალიზეს და რეაგირების რა შედეგები დადგა ვერ დაინახეს და სწორედ ეს ასახეს რეკომენდაციაში, ამიტომ ჩათვალეს რომ „ნაწილობრივ შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან“.
მე-6 სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა განაცხადა, რომ გაცილებით მძიმედ არის საქმე, რადგან უნივერსიტეტმა წარადგინა მასალები ჩატარებული კონფერენციების შესახებ, ასევე, იგი გეგმავდა კონფერენციების ჩატარებას, თუმცა აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებული ტერმინების გაგება პრობლემური იყო აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისთვის, ექსპერტთა ჯგუფი ძალიან დიდხანს არკვევდა თუ რას ნიშნავდა „კვლევა“, რადგან, როდესაც ისინი სვამდნენ კითხვებს კვლევასთან დაკავშირებით, პასუხად იღებდნენ პრაქტიკული საქმიანობის შესახებ. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ექსპერტთა ჯგუფი მიხვდებოდა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები ვერ ხსნიდნენ ეს იყო სამეცნიერო, თუ პრაქტიკული საქმიანობა ამის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი იწყებდა ახსნას თუ რას გულისხმობდნენ, რის შედეგადაც დაადგინეს, რომ გრანტები ჰქონდა, თუმცა საუბარში ამბობდნენ რომ არ ჰქონდათ გრანტები, თუმცა შემდეგ ექსპერტებს დარჩათ შთაბეჭდილება, რომ სიტყვა „გრანტის“ მნიშვნელობა გვიან აღიქვეს, ნახევარი ინტერვიუს გასვლის შემდეგ შემთხვევით ახსენეს და ექსპერტთა ჯგუფი მიხვდა რომ ჰქონდათ გრანტი. ასევე იყო ტერმინ „პლაგიარიზმთან“ დაკავშირებით, მანამდე სანამდე ექსპერტთა ჯგუფმა არ ახსენა, პლაგიარიზმი ნიშნავს, რომ არ გადაიწერონ სტუდენტებმა, მისი ცოდნა თუ რას ნიშნავდა პლაგიარიზმი არა მხოლოდ სტუდენტებისგან, არამედ პერსონალისგანაც ვერ დაინახეს, შესაბამისად, როდესაც ექსპერტთა ჯგუფი ხსნიდა უშლიდნენ თუ არა გადაწერას, ან რა მექანიზმები აქვთ გადაწერის წინააღმდეგ შემდეგ დადგინდა, რომ ეს იყო არა რაიმე ინსტრუმენტით პლაგიარიზმის აღმოჩენა, არამედ ძალიან მოძველებული მეთოდებით, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს გაუგზავნეს ერთი შემთხვევა, პლაგიარიზმზე შემოწმებული ბოლო პერიოდის ნაშრომი, რომელსაც ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გადახედეს და სხდომაზეც დაადასტურეს, შესაბამისად რეკომენდაციები, რომლებიც ამ მიმართულებით არის გაცემული, ნამდვილად უნდა გაეცათ, რომ არაფერი ეთქვათ კვლევების მხარდაჭერასა და ინტერნაციონალიზაციაზე, რადგან დაწესებულებას ბევრი სამეცნიერო გრანტი უნდა მოეზიდა სდაც დაესაქმებინა ახალგაზრდა პერსონალი, რაც მათგან ვერ დაინახეს, რადგან, როდესაც აღმოაჩინეს, რომ ეს იყო გრანტები, რაც განხორციელებული

ჰქონდა, ახალგაზრდების ჩართულობა არ იყო, ერთობლივი საერთაშორისო პროგრამებიც უნდა განხორციელებულიყო.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ დაწესებულება იზიარებდა რეკომენდაციას, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის შესახებ.
ექსპერტმა, ნინო ამირანაშვილმა მე-2 სტანდარტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს, ერთადერთი რაზეც დაწესებულებას ჰქონდა განსხვავებული აზრი, ეს იყო პლაგიატთან დაკავშირებით, სხდომაზეც აღინიშნა, რომ მეორე სტანდარტთან აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა იყო ზედმეტი, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფი თვლიდა, რომ საჭირო იყო, რადგან თვითონ აკადემიური კეთილსინდისიერება წარმოადგენდა მე-2 სტანდარტის კომპონენტს და სწორედ ამიტომ მოხვდა აღწერითი ნაწილიც და რეკომენდაციაც აღნიშნულ სტანდარტში. პლაგიატის პროგრამაში ნაშრომების გატარების შესახებ მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა სტატისტიკა, თუმცა დაწესებულებამ წარადგინა მხოლოდ ერთი ნაშრომი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის წინა დღეებში იყო გატარებული, აქედან გამომდინარე ჩაითვალა, რომ პლაგიატის საწინააღმდეგო მექანიზმები კარგად არ მუშაობდა. რადგან დაწესებულებას ჰქონდა წინააღმდეგობის განცდა რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეცვალა აღწერის ტექსტი და უფრო დეტალიზებულად ჩაწერეს რასაც გულისხმობდნენ.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თქმით დაწესებულება იზიარებდა, რომ ინტერვიუს შედეგები წარმოადგენდა ექსპერტთათვის ერთ-ერთი ძირითად მტკიცებულებას, თუმცა ეს არ არის ერთადერთი, დასკვნაში ბევრგან ეწერა, რომ არ იყო წარდგენილი, ვერ იპოვეს, თუმცა დამატებით გამოთხოვილ დოკუმენტებში ყველაფერი იყო გადაგზავნილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები.
საბჭოს წევრი, თამარ ვეფხვაძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს. მან განაცხადა, რომ კარგად იცნობდა აღნიშნულ საკითხს, რადგან თვითონ იყო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე 2019 წლის ივლისში განხორციელებული ვიზიტისას, შესაბამისად პროცესებს იცნობდა შიგნიდან. მისი თქმით ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა სრულად და დამაჯერებლად ვერ მოისმინა კვლევების დეფინიცია. საბჭოს წევრის მოსაზრებით, აკადემიური საზოგადოება იცნობდა კვლევების რამდენიმე სახეობას, დაინტერესდა ეთანხმებოდა თუ არა, რომ კვლევის შეფასება ცალსახად არ ხდება, რამდენადაც კვლევის დეფინიცია შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი: სამეცნიერო, ფუნდამენტური, გამოყენებითი, პრაქტიკული, რაოდენობრივი, ემპირიული და სხვა კვლევები. ასევე, ყველასთვის ცნობილი იყო, თუ რას გულისხმობდა ავტორიზაციის სტანდარტები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელთათვის, თუმცა აღნიშნული სტატუსი განსაზღვრული იყო რამდენიმე ჯგუფით, ცნობილი იყო თუ რას ნიშნავდა უნივერსიტეტი, როგორც ინსტიტუცია; სასწავლო უნივერსიტეტი, როგორც ინსტიტუცია; კოლეჯი, როგორც ინსტიტუცია; ავტორიზაციის სტანდარტებზე მუშაობისას, როდესაც ESG-ის დოკუმენტი იქნა შეთავაზებული ცენტრის მხრიდან განსახილველად და დასანერგად საბჭოს წევრი ჩართული იყო აღნიშნულ პროცესებში და ცენტრისა და განათლების სამინისტროსადმი (უშუალოდ ქალბატონი თამარ სანიკიძისადმი) დიდი მადლიერებით აღნიშნა, რომ მათ გაიზიარეს სახელოვნებო უნივერსიტეტებისადმი აუცილებელი ასპექტები/პრიორიტეტები და „სლეშით“ იყო გამოყოფილი შემოქმედებითი აქტივობები გათვალისწინებული, რაც აისახა მცირე შესავლად. თუკი დაწესებულება ამბობდა, რომ ეს არის პრაქტიკაზე ორიენტიერებული კვლევები გამომდინარე მათი სტატუსიდან, ეს იყო კოლეჯი და მათი პრაქტიკული/პრაქტიკაზე ორიენტირებული საქმიანობიდან, ეს იყო ძალიან სპეციფიური საზღვაო-სანაოსნო სასწავლებელი, რომელიც ამავე დროს ახორციელებდა პროფესიულ პროგრამებს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრს მიმართა, რომ მას შემდეგში ექნებოდა აზრის გამოთქმის საშუალება, ახლა კი სთხოვა დაესვა კითხვა.

საბჭოს წევრმა, თამარ ვეფხვაძემ განაცხადა, რომ თუკი მათ ნახეს კონკრეტული გადადგმული ნაბიჯები და შემუშავებული დოკუმენტაცია, ხომ არ იყო გაზვიადებული იმ შეფასებასთან, რომ „არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან“, იქნებ უპრიანი იქნებოდა შეფასებულიყო, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“.
ექსპერტმა, ია მოსაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი არ შეიცვლიდა აზრს, თუმცა საბჭოს გადასაწყვეტი იყო, შეფასდებოდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“ თუ „არ არის შესაბამისი მოთხოვნებთან“, მაშინაც კი, როდესაც კვლევა არის გამოყენებითი ხასიათის, პრაქტიკაზე ორიენტირებული, სასწავლო დაწესებულებაში, მისი შედეგები აუცილებლად უნდა გამოყენებულ იქნას, ან პროგრამის შიგნით, ან ვინმე სტუდენტს ნაშრომში ჰქონდეს შენიშვნა წარდგენილი, რაც ექსპერტთა ჯგუფს არსად დაუნახავს, წარდგენილი კვლევების შედეგების საფუძველზე ასახვა ვერსად ნახეს. კვლევა არ არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ ერქვას პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევა, გემის რაღაც დაშალეს, მაგრამ რა შედეგი დადგებოდა, ვიღაცის იყო თუ არა სასარგებლო, სადღაც უნდა გამოსახულიყო, ეს ვერ ნახეს და სწორედ ამიტომ გასცეს რეკომენდაცია.
საბჭოს წევრმა, თამარ ვეფხვაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს პასუხისთვის და განაცხადა, რომ კვლევის შედეგების გამოყენებისთვის საჭირო იყო გონივრული დრო, რადგან კვლევიდან შედეგებში ასახვამდე შესაძლებელია გარკვეული დრო იყოს საჭირო.
ექსპერტმა, ია მოსაშვილმა განმარტა, რომ თუნდაც 2009 წელს იყვნენ ავტორიზაციაზე და საკამაო დრო იყო გასული 2009 წლიდან 2021 წლამდე.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რუსუდან დიასამიძემ დასძინა, რომ ავტორიზაციის წინა ვიზიტი ჩატარდა 2019 წელს, რაც საბჭოს წევრმაც დაადასტურა.
საბჭოს წევრმა, თამარ ვეფხვაძემ აღნიშნა, რომ საბჭოს თითოეული წევრი ყურადღებით გაეცნო დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციასაც, აბსოლუტურად დაეთანხმა იმაში, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ პლაგიატთან და მის პრევენციასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია დროული და სამართლიანი იყო 2.3 კომპონენტთან მიმართებაში, მაგრამ საბჭოს წევრისთვის გაუგებარი იყო თუ რატომ გახდა საჭირო მათი გამეორება, აღნიშნულმა საკითხმა დატოვა დასკვნის დამძიმების ხელოვნურ ტენდენციას. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა გახდა იმის მიზეზი, რომ პლაგიატთან დაკავშირებული შენიშვნა ექსპერტთა ჯგუფმა გაიმეორა სხვა 2 სტანდარტშიც.
ექსპერტმა, ნინო ამირანაშვილმა განაცხადა, რომ პასუხისმგებელი იყო მე-2 სტანდარტზე და შესაბამისად ისაუბრებდა აღნიშნული სტანდარტის შესახებ. მან განმარტა, რომ კითხვაზე თუ რატომ აღმოჩნდა აღნიშნული რეკომენდაცია მეორე სტანდარტში უკვე ისაუბრა, გამეორების შესახებ კი აღნიშნა, რომ სტანდარტები ერთმანეთზე იყო გადაჯაჭვული და ხდებოდა გამჭოლად ინფორმაციის გაცვლა. მისი მოსაზრებით, გამეორების საკითხს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე უკეთ განმარტავს, რადგან მთლიან დასკვნაზე ის იყო პასუხისმგებელი, თუმცა მე-5 და მე-6 სტანდარტებში იყო პლაგიატის შესახებ რეკომენდაცია გამეორებული და უკავშირდება კვლევას, რაც დაკავშირებულია პლაგიატთან და მე-5 სტანდარტთან დაკავშირებული იყო ინფორმაციის გადაცემის ნაწილთან, ექსპერტებმა სხვადსხვა კუთხით შეხედეს რეკომენდაციას, საბჭო კი უფლებამოსილია რომელიმე ერთ სტანდარტთან დატოვოს. ექსპერტის მოსაზრებით მე-2 სტანდარტთან ნამდვილად აუცილებელი იყო, რადგან სტანდარტის ერთ-ერთი კომპონენტი იყო აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატის პრევენცია.
საბჭოს წევრი, მარინა ქორიძე დაეთანხმა საბჭოს წევრს, თამარ ვეფხვაძე, რომ საზღვაო სასწავლებლის სწავლებას ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც სახელოვნებო სწავლებას. მან განმარტა, რომ რეგიონის წარმომადგენელი იყო, უფრო ახლოს იყო მიმართულებასთან და მის თვალწინ ხდებოდა კადრების აღზრდა. მისი თქმით ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის ერთ-ერთი უარყოფითი მხარე კვლევების დეფიციტი იყო, თუმცა აღინიშნა ისიც, რომ სამიზნე ჯგუფებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა გრანტების არსებობა.

საბჭოს წევრი დაინტერესდა ეს იყო სამეცნიერო თუ სასწავლო გრანტები. მან გაიხსენა, რომ ექსპერტთა ჯგუფის წევრების მონათხრობის მიხედვით ინტერვიუში მონაწილე პირებს წარმოდგენა არ ჰქონდათ საგრანტო პროექტებზე, თუმცა გამოიკვეთა ისიც, რომ პრაქტიკულად მონაწილეობას ღებულობდნენ მის განხორციელებაში, ხშირად ისე ხდებოდა, რომ ექსპერტთა ჯგუფი წინასწარ აგზავნის იმ ადამიანების სიას, ვისაც უნდა გასაუბრებოდნენ, საბჭოს წევრი დაინტერესდა ჰქონდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფს მცდელობა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, რომ უშუალოდ საგრანტო კონკურსში მონაწილე პირებისგან მიეღოთ ინფორმაცია და ჰქონდათ თუ არა მცდელობა ჩატარებული კონფერენციებისა და გამოქვეყნებული ნაშრომების ნახვისა, რათა დადგენილიყო იყო თუ არა საგრანტო კონკურსის კვლევის შედეგები ასახული.

ექსპერტმა, ია მოსაშვილმა განაცხადა, რომ სწორედ საგრანტო პროექტის განმახორციელებელთან ინტერვიუს დროს, დიდი მცდელობის შემდეგ, გამოიკვეთა საგრანტო პროექტების არსებობა.

საბჭოს წევრმა, მარინა ქორიძემ დააზუსტა, სწორად გაიგო თუ არა, რომ დაწესებულების წარმომადგენელი იყო გრანტის მონაწილე და არ იცოდა, რომ გრანტი იყო.

ექსპერტმა, ია მოსაშვილმა დაადასტურა საბჭოს წევრის მოსაზრება. მან განაცხადა, რომ ეს არ იყო მიმდინარე გრანტი, უკვე დასრულებული იყო, შესაბამისად შესაძლებელია მისი შედეგები სადღაც ასახულიყო, მაგრამ კონკრეტულად რომელი კონფერენციის ნაწილი შეიძლება ყოფილიყო ვერ გაიხსენა, შესაძლებელია ყოფილიყო, მაგრამ მისთვის ცნობილი არ გამხდარა.

საბჭოს წევრმა, მარინა ქორიძემ დაინტერესდა, წარმოდგენილი საკონფერენციო მასალები იქნა თუ არა შესწავლილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მათ გადახედეს, თუმცა თუ დარგის სპეციალისტი არ იყო, უბრალოდ გადახედეს სტრუქტურას და დანარჩენ თემატიკაში ღრმად ვერ ჩავიდოდნენ, ის, რომ კონფერენციები არ იყო მაღალი, საერთაშორისო დონის კონფერენციები ნათელი იყო.

საბჭოს წევრმა დააზუსტა ჰქონდათ თუ არა გამოქვეყნებული რაღაც კვლევის ელემენტები, კონფერენციებზე, სამეცნიერო ნაშრომებში და სხვა.

ექსპერტმა განმარტა, რომ მას არ შეეძლო ეთქვა იმ კონკრეტული გრანტის შედეგები იყო გამოქვეყნებული თუ არა კონკრეტულ კონფერენციებში, რადგან ზოგადად, გრანტის შესახებაც რთულად მიიღეს ინფორმაცია.

საბჭოს წევრმა დასძინა, რომ ამის მიზეზი საზღვაო სწავლების სპეციფიკურობა გახლდათ, თუმცა დაეთანხმა იმ მოსაზრებაში, რომ თუკი დარგის სპეციალისტი არ იყო დეტალებში ვერ ჩავიდოდნენ.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ განაცხადა, რომ საუბარი იყო კვლევით საქმიანობაზე, მათ შორის ექსპერტებმაც დაფიქსირეს თავიანთ მოსაზრება. მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ დაეზუსტებინათ, თუ როგორ შექონდათ წვლილი საქართველოს ან რეგიონის სატრანსპორტო დარგში, რადგან დასკვნიდანაც იკვეთება ინტერნაციონალიზაციის ნაკლებობა, საერთაშორისო მობილობების ნაკლებობა, შესაძლოა გამომდინარეობდეს იქიდან, რომ რაღაც ინფორმაცია არ იყო მიწოდებული, სთხოვა ესაუბრათ საერთაშორისო კონფერენციების შესახებ, განსაკუთრებით საერთაშორისო ელემენტების შესახებ, უცხოელი პროფესორების ჩართულობის არსებობის შესახებ, რა ნაბიჯები იყო გადადგმული უნივერსიტეტის მხრიდან. დასკვნაში ეწერა, რომ სენატში წარდგენილნი არიან მხოლოდ ადმინისტრაციული პოზიციის მქონე პირები და დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა გაეკეთებინათ კომენტარი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემის შესახებ, რომლის შესახებაც დაწესებულების წარმომადგენლებმაც აღნიშნეს, რომ არ ფუნქციონირებდა, სთხოვა ასევე გაეკეთებინათ კომენტარი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. პირველ რიგში კი სთხოვა პასუხი გაეცათ კვლევის ინტერნაციონალიზაციის შესახებ, მემორანდუმებთან დაკავშირებით დაწესებულების

წარმომადგენელმაც ისაუბრა, რომ აფორმებდნენ მემორანდუმებს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, დაინტერესდა თუ ჰქონდათ ურთიერთობა რომელიმე უცხოურ უნივერსიტეტთან და რა აქტივობები ხორციელდებოდა.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ჰქონდათ მემორანდუმები კონსტანტას უნივერსიტეტთან და ლატვიის უნივერსიტეტთან, მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ძალიან ბევრი გეგმის განხორციელებაში პანდემიამ შეუშალათ ხელი. მისიაში გაწერილ ამბიციებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არ არის ცუდი უნივერსიტეტის ამბიცია იყვნენ უკეთესები, მიისწრაფოდნენ გაზრდისკენ, რათა იყვნენ მნიშვნელოვანი რეგიონისთვის, მეზღვაური, რომელსაც აღზრდიდა დაწესებულება, მუშაობდა საერთაშორისო დონეზე, საერთაშორისო კომპანიებში. მისია მიღებული იყო 2019 წელს და დაწესებულებას ჯერ კიდევ ჰქონდა სტრატეგიით განსაზღვრული ვადა, რათა მიეღწიათ ყველა მათთვის დასახული მიზნისთვის მისიიდან გამომდინარე.
საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ დააზუსტა, რომ მას აინტერესებდა თუ ჰქონდათ კავშირები საერთაშორისო უნივერსიტეტებთან, თუ განხორციელდა საერთაშორისო მობილობა და ა.შ.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ კონსტანტას უნივერსიტეტთან და ლატვიის უნივერსიტეტთან ჰქონდათ მოლაპარაკება და ვინაიდან ვერ ახერხებდნენ ადგილზე ჩატარებას, ფიქრობდნენ ჩატარებინათ საერთაშორისო კონფერენცია ერთობლივად, არა მხოლოდ განსახილველი დაწესებულების ორგანიზებით.
საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ ჰქონიათ კვლევითი აქტივობები, მობილობები და ა.შ.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ჯერ არ ყოფილა, რადგან 2019 წლიდან დაიწყეს ამ მიმართულებით მუშაობა. დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია სენატთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ სენატში იყო 3 აკადემიური პერსონალი, აღნიშნული იყო მხოლოდ თანამდებობები, პოზიციები არ იყო მიწერილი, რომ ისინი ამავდროულად იყვნენ აკადემიური პერსონალიც, დაწესებულებამ შეიტანა ცვლილება სენატის დებულებაში და სენატის შემადგენლობა უნდა შეცვლილიყო სრულად.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენლებს კონკრეტულ კითხვებზე გაეცათ კონკრეტული პასუხები, რადგან, როდესაც კონკრეტული პასუხია უფრო კარგად ისმინება და კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.
საბჭოს წევრმა, ბორის ლეჟავამ განაცხადა, რომ როგორც მისთვის ცნობილი იყო დაწესებულებას ჰქონდა ცალკეული დოკუმენტი, რომელიც ასახავდა კვლევითი საქმიანობის სტრატეგიებს, იგი დაინტერესდა თუ რამდენად არის ის მიზნები, რაც დოკუმენტში იყო ასახული მთლიანად უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში, თუ არ იყო რატომ არ იყო. მისი თქმით, როგორც დოკუმენტში ჩანდა, მიღებული იყო 2019 წელს და შესაბამისად, იმ ხუთი სტრატეგიული მიზნის ქვეშ ჩამოთვლილი აქტივობებიდან, რომელიც კვლევითი საქმიანობის სტრატეგიაში იყო ასახული, საბჭოს სხდომამდე რა იყო შესრულებული.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ სტრატეგია შემუშავდა მისიის საფუძველზე, ხოლო სტრატეგია ჩაშლილი იყო 3 და 1 წლიან სამოქმედო გეგმებად.
საბჭოს წევრმა განმარტა, რომ საუბარი იყო 2 სხვადასხვა დოკუმენტზე, კვლევითი საქმიანობის სტრატეგიასა და უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაზე, დაინტერესდა თუ რამდენად არის ისინი თანხვედრაში ერთმანეთთან, თუ არ არის თანხვედრაში კვლევით სტრატეგიაში ასახული მიზნები რატომ არ არის ასახული უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში და ვინაიდან 2019 წელს იქნა მიღებული სტრატეგიული მიზნები, რაც იყო გაწერილი რა შესრულდა კვლევის მიმართულებით.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტმა, ლია ფარტენაძემ განაცხადა, რომ სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე თანხვედრაშია და მათ სტრატეგიულ გეგმაშიც კი კვლევითი საქმიანობა და ინტერნაციონალიზაცია აღნიშნული ჰქონდათ, როგორც გასაუმჯობესებელი მხარე და ყველაფერს აკეთებდნენ მის გასაუმჯობესებლად.

საბჭოს წევრმა, აკაკი ხელაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებამ განაცხადი წარადგინა 2020 წლის ნოემბერში და ვიზიტი განხორციელდა 21-24 მარტის პერიოდში, მისი თქმით საკმაოდ დიდი ჩამონათვალი იყო გამოთხოვილი დოკუმენტების, რაც წარადგინეს 25 მარტს. დაინტერესდა, ნოემბერში, როდესაც მოხდა საავტორიზაციო განაცხადისა და თვითშეფასების წარდგენა, აღნიშნული დოკუმენტები უნდა ყოფილიყო მასთან ერთად და რით იყო განპირობებული რიგი დოკუმენტების 4 თვის შემდეგ წარდგენა. მან მიმართა ექსპერტებს, რომ 2020 წლის სამოქმედო გეგმა, სადაც მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები იყო გაწერილი, შესაძლებელი იყო მისი ანალიზი/შეფასება ვიზიტის დროს, დაინტერესდა ხომ არ ჰქონიათ საშუალება, რომ ენახათ თუ რა იყო შესრულებული ან რა ცვლილება იყო შეტანილი სამოქმედო გეგმიდან.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ განაცხადი გააკეთა 2020 წლის ოქტომბერში, როდესაც დანართების სახით წარდგენილი იყო 2019 წლის დოკუმენტაცია, მაგ., ხარისხის ანალიზი და ა.შ. 4 თვეში დაწესებულებამ განაახლა დოკუმენტები თუნდაც ხარისხის ანალიზი და გახდა საჭიროება განახლებული დოკუმენტაციის გაგზავნისა.
საბჭოს წევრმა, აკაკი ხელაძემ დააზუსტა არის თუ არა ეს დოკუმენტები, რომლებიც განახლდა ან შეიქმნა განაცხადის წარდგენის შემდეგ.
დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა საბჭოს წევრის მიერ ნათქვამი და აღნიშნა, რომ ასევე არის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია.
ექსპერტმა, ია მოსაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ცდილობდა ენახათ ეს ყველაფერი, თუმცა პასუხი მარტივი იყო, რომ 2020 წლიდან იმყოფებოდნენ პანდემიის მდგომარეობაში, გეგმავდნენ, თუმცაა გადაიდო პანდემიის გამო.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კონფერენცია არ გადადებულა.
საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ განაცხადა, რომ ვინაიდან კვლევის სტანდარტის გარშემო საუბრობენ, დაწესებულებას სთხოვა ეპასუხა თუ როგორ ახდენდა აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასებას, რა კრიტერიუმები ჰქონდათ, თუ ჰქონდათ აღნიშნული ანალიზი ჩატარებული, ერთ-ერთი რაც შეიძლება გამოყენებული იქნას ამ თვალსაზრისით იყო აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო ბაზების გამოყენების კალკულაცია, რაც ვებ-გვერდზე ჰქონდათ ატვირთული, ბაზებზე წვდომა შეზღუდული იყო და მხოლოდ სურათით შემოიფარგლებოდა, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ იყენებდა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ბაზებს, რა გზით იყენებდა და დაწესებულება თუ აფასებდა ამ გამოყენებას. ასევე დაინტერესდა, თუ როგორ უწყობდა ხელს დაწესებულება აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, არ იგულისხმებოდა მხოლოდ ერთეული აკადემიური პერსონალის დაფინანსება/წახალისება, არამედ რა მიდგომები ჰქონდათ სისტემურად მხოლოდ შედეგების თვალსაზრისით, რადგან საბჭოს წევრს დოკუმენტურად წაკითხული ჰქონდა, რომ დეკლარირებულად დაწესებულება ხელს უწყობს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ლია ფარტენაძემ აკადემიური პერსონალის შეფასებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებას შემუშავებული/განხორციელებული ჰქონდა აკადემიური პერსონალის თვითშეფასების ფორმა და აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების ფორმა, შესაბამისად თვითშეფასების ფორმის შევსების საფუძველზე დაწესებულებამ განახორციელა აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასება და გააკეთა მისი ანალიზი, გასული წლის ანალიზის შედეგად გამოავლინა აკადემიური პერსონალი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში და წახალისების მიზნით დაუფინანსდათ გარკვეული პროექტები, გადაეცათ სიგელები და ა.შ. ის აკადემიური პერსონალი კი რომელსაც ჰქონდა ნაკლები აქტიურობა, მიეცათ საქმიანობაში უფრო გააქტიურების რეკომენდაცია.
ბაზებთან წვდომის შესახებ განაცხადა, რომ იყო ხარვეზი, მაგრამ გამოსწორდა და აკადემიურ პერსონალს ჰქონდა საერთაშორისო ბაზებით სარგებლობის საშუალება.

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ მიმართა ექპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ განსახილველი სასწავლებელი იყო სპეციფიკური, რომელიც საზღვაო დარგის სპეციალისტებს ამზადებდა, დაინტერესდა იყო თუ არა მიზანი მიღწეული, ანუ ამზადებდა თუ არა კვალიფიციურ სპეციალისტებს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, იანუშ ურიაშმა განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო შესაბამისი კომპეტენციების გათვალისწინებით, შესაბამისი კვალიფიციური კადრი მომზადებულიყო, თუმცა თუ კურსდამთავრებულს მოუნდება სწავლების შემდეგ საფეხურზე, მაგ., სამაგისტრო პროგრამაზე გაეგრძელებინა სწავლა ჰქონდა თუ არა შესაბამისი კომპეტენცია ამისთვის, სწორედ აქ ჩნდებოდა კითხვის ნიშანი. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებისთვის მოახდინა მხოლოდ იმის დემონსტრირება, რომ კონკრეტული დარგობრივი სპეციალისტის მომზადება ერთი საკითხი იყო და მეორე იყო, ის, რომ ეს ყველაფერი უნდა მომხდარიყო აკადემიურ დონეზე, უნივერსიტეტის ფარგლებში, რაც უფრო მაღალი ღირებულებები იყო და ცალკეული სპეციალისტების მომზადება ბევრ დაწესებულებას შეეძლო.
საბჭოს წევრი, ივანე აბაშიძის თქმით სწორად აღნიშნა და ექსპერტთა ჯგუფსაც სწორად ჰქონდა გაგებული, რომ დარგი სპეციფიურია, რეგულირდება და რეგულირება ხორციელდება ამ კონკრეტული კომპონენტის უმაღლესი განათლების შესახებ. მისი მოსაზრებით უნდა განესხვავებინათ ორი საკითხი: 1. კვალიფიციური კადრის მიწოდება ბაზარზე და 2. როდესაც საუბარია საგანმანათლებლო ხარისხის მიცემაზე, რაც ძალიან სწორად იყო აღნიშნული ის დარგობრივი მახასიათებლების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია, შეესაბამებოდა მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ კანონის მოთხოვნებს, რომელიც ბმაში იყო უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან და ადგენდა ჩარჩო დოკუმენტს, რომელში მითითებული კვალიფიკაციები ემყარება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოდელ კურსების მოთხოვნებს, რომელიც არის სპეციფიური, კომპეტენციებთან დაკავშირებული მოდელური კურსები, რომელიც საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ იყო დადგენილი, მეზღვაურის კომპეტენტურობის შესაფასებლად, მეზღვაურის პროფესია იყო განგრძობადი და არ მთავრდებოდა მხოლოდ დიპლომის მიღებით, რომ შედის პროფესიაში აბარებს საკვალიფიკაციო გამოცდას და იზრდება კაპიტნამდე ან უფროს მექანიკოსამდე თუ არ არის მთელი ცხოვრება რიგითი. როდესაც საუბარი იყო Academic excellent, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს დაწესებულება, მან მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს მე-6 სტანდარტთან დაკავშირებით, რაც ყველაზე ძლიერ პრობლემად გამოიკვეთა მთელი შეფასების ფარგლებში, ის, რომ კვლევა მეზღვაურის მოსამზადებლად საჭირო არ იყო იკვეთება იქიდანაც, რომ რიგითად 36 თვე მუშაობის შემთხვევაში მაინც შეეძლოთ ოფიცრად სერტიფიცირება მოეხდინათ. საუბარი იყო ბაკალავრის დონის მოთხოვნაზე, რომელიც მოთხოვნილი იყო იმისთვის, რომ მეზღვაური პირდაპირ 12 თვიანი საზღვაო პრაქტიკისა და 4 წლიანი საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ მისულიყო და აეღო სავახტო თანაშემწის სამუშაო დიპლომი (კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი, STCW კონვენციის და მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე), მაგრამ აღნიშნული სფერო არ იდგა განყენებულად განათლების სისტემიდან, რეგულირებადი განათლება იმ ნაწილში იყო, რომ სახელმწიფოს განსაზღვრული ჰქონდა პრიორიტეტი თუ რანაირი მეზღვაურის მიღება სურდა, მაგრამ ეს სასწავლებლები არ იყვნენ ამოვარდნილი იმ კონტექსტიდან, რომელიც საერთო საგანმანათლებლო სივრცეს ეხებოდა, იმ სფეროში იდგნენ, საერთო საგანმანათლებლო სივრცე ისევე არეგულირებდა, როგორც დარგის სპეციფიური მოთხოვნები, იგივე მოდელ კურსები და ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნის თვალსაზრისით. საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ სასწავლებლის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, რომ მე-6 სტანდარტი იყოს იმ დონეზე, რომელზეც შესაძლებელია ესაუბრათ სასწავლო უნივერსიტეტზე, არგუმენტირებულ პასუხში დაწესებულებამ განაცხადა, რომ რადგან სასწავლო უნივერსიტეტია არ ეკუთვნოდათ ასეთი ტიპის კვლევითი საქმიანობის განხორციელება, თუმცა გადადგეს რაღაც ნაბიჯები. მან სთხოვა ექსპერტებს, რომ ეთქვათ კვლევითი კომპონენტი რა საჭიროებას წარმოადგენს სასწავლო

უნივერსიტეტის სტატუსის მქონე უნივერსიტეტისათვის. მან განმარტა, რომ შესავალი გააკეთა, რადგან სპეციალიზაციასთან დაკავშირებული კითხვები და კვლევის სპეციფიურობასთან დაკავშირებით დასმულ კითხვები არ იყო პირდაპირ კავშირში იმასთან, რასაც ექსპერტები აფასებდნენ, ექსპერტები აფასებდნენ საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისობას და სწორედ ეს იყო მისი კითხვის არსიც, რომ განემარტათ თუ რაში სჭირდებოდა სასწავლო უნივერსიტეტს ის, რასაც ექსპერტთა ჯგუფი სთხოვდა, რადგან დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციიდან ირკვევა, რომ არ ეკუთვნოდათ, მაგრამ მაინც აკეთებდნენ. რადგან ითქვა, რომ 2019 წელს ჩატარებული მონიტორინგი არ იყო ასეთი მძიმე, რაც გამოწვეული იყო, 2021 წელს მოახლოებული ავტორიზაციით, შესაბამისად საბჭომ გაითვალისწინა ყველა კომპონენტი, ახალი სტანდარტები და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფს სთხოვდა განმარტებას, რადგან საზღვაო სტანდარტებთან შეუსაბამობაზე არ იყო საუბარი, არამედ საუბარი იყო იმ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ იყო წაყენებულ სტანდარტებთან შეუსაბამობაზე, რომელიც ახორციელებდა საბაკალავრო პროგრამას.

ექსპერტმა, ია მოსაშვილმა განაცხადა, რომ მას გაუჭირდებოდა საუბარი აღნიშნულ საკითხზე, რადგან როდესაც ექსპერტები იღებდნენ დავალებას ამათუიმ სასწავლებლის შეფასების შესახებ, მათ არ ჰქონდათ გამორჩეული მითითება, რომ ეს იყო სასწავლო უნივერსიტეტი და მე-6 სტანდარტი არ მოეთხოვებოდა, ამასთანავე ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებდა, იმას, რომ მათ არ ჰქონდათ სადოქტორო კვლევები და ა.შ. თუმცა ის დანარჩენი, მათ არ ჰქონდათ მითითება, რომ არ შეემოწმებინათ კონკრეტული სტანდარტი, თანაბრად მოწმდება, მხოლოდ ითვალისწინებდნენ იმ ნაწილს, სადაც დაწესებულება არ ახორციელებდა ზედა საფეხურების კვლევას, თუმცა, რადგან მოეთხოვებოდათ მე-6 სტანდარტი მათთან მიმართებაშიც ყოფილიყო განხილული, ჩვეულებრივად განიხილავს ექსპერტთა ჯგუფი. თუ ასე იქნებოდა საჭირო ექსპერტთა ჯგუფს ექნებოდა მითითება, რომ არ შეემოწმებინათ კონკრეტული სტანდარტი.

საბჭოს წევრმა, ივანე აბაშიძემ მიმართა ცენტრის წარმომადგენლებს, რომ განემარტათ დაწესებულებისთვის თუ როგორ ფასდება მე-6 სტანდარტი სასწავლო უნივერსიტეტებთან მიმართებაში.

ცენტრის დირექტორის მოადგილე, ლაშა მარგიშვილი მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ შვიდივე სტანდარტი, რომელიც დადგენილი იყო ავტორიზაციის დებულებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის იყო სავალდებულო, შესასრულებელი, რომ მან მიეღო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ან მოეპოვებინა რე-ავტორიზაცია. ავტორიზაციის დებულება და არც ერთი მასში მითითებული სტანდარტი არ ახდენდა იდენტიფიცირებას მიემართებოდა უნივერსიტეტს, სასწავლო უნივერსიტეტს ან კოლეჯს, შესაბამისად შვიდივე სტანდარტი სავალდებულო იყო, როგორც კოლეჯისთვის, ისე უნივერსიტეტისა და სასწავლო უნივერსიტეტებისთვის, რაც შეეხება მე-6 სტანდარტთან ბმაში მასშტაბები შესაძლებელია ყოფილიყო განსხვავებული, მაგრამ ექსპერტმა ან დაწესებულებამ ჩათვალოს, რომ არის კოლეჯი, მონო პროფილური კოლეჯი, მხოლოდ მედიცინას ახორციელებდა სასწავლო უნივერსიტეტი, მხოლოდ სახელოვნებო დარგის პროგრამებს ახორციელებდა და მას კვლევა არ მოეთხოვებოდა, არ იქნებოდა სწორი, რადგან, ვინაიდან სამივე ტიპის დაწესებულება წარმოადგენდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას კვლევა უნდა ხორციელდებოდეს აკადემიური, სამეცნიერო პერსონალის მიერ და ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნდა ხდებოდეს კვლევის შედეგების ინტეგრირება სასწავლო პროცესში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო პროგრამებში/სილაბუსებში შეტანილი ყოფილიყო ის კვლევის მეთოდები, რომელზეც გადიოდნენ პროფესორ-მასწავლებლები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა.

საბჭოს წევრი, გოდერძი ბუჩაშვილი მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს, მან განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა პასუხის გაცემისას ახსენეს ექსპერტთა ტენდენციურობა/მიკერძოებულობა და სთხოვა მათ ესაუბრათ ამის დამადასტურებელ მტკიცებულებებზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თქმით გულისხმობდნენ, რომ ნაკლებად იყო აქცენტირებული დაწესებულების მიერ გადადგმული ნაბიჯები, გაუმჯობესებული მხარეები რაც გააკეთეს 2019 წლიდან, რაც გაკეთებული ჰქონდათ დაკნინებული უფრო იყო და არა ხაზ გასმული, აქცენტი გაკეთებული მხოლოდ უარყოფითზე იყო. თუნდაც კვლევებთან დაკავშირებით, თუკი საერთოდ არ იქნებოდა შეუსაბამობაა, მაგრამ გაკეთებული იყო და შეიძლება შეფასებულიყო, როგროც ნაწილობრივ შესაბამისობა. ამასთანავე დაწესებულება თვითონ აღიარებდა, რომ ეს გასაუმჯობესებელი მხარე იყო, მაგრამ სრული შეუსაბამობა, როდესაც გაკეთებული იყო ბევრი რამ 2019 წლიდან ამას ვერ დაეთანხმებოდნენ.
რექტორმა, რუსლან დიასამიძემ სთხოვა საბჭოს გაეთვალისწინებინათ დაწესებულების ისტორია, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარება და ამის მიხედვით მიეღოთ გადაწყვეტილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. რადგან კითხვები აღარ იყო საბჭო გავიდა შესვენებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 16:40 წუთზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 17:23 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი „ანრისთვის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 15
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნტის, 2^2 პუნქტის, მე-14 მუხლის, მე-16 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56^4 მუხლის , საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 83-ე მუხლის, 103-ე მუხლის საფუძველზე, შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის (ს/კ: 245539403) უარი ეთქვას ავტორიზაციის მინიჭებაზე,
შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრის შუამდგომლობისა და სტუდენტების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი - 2021 წლის 27 მაისიდან 2021 წლის 31 ივლისამდე დაასრულონ შპს ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელ ანრიში.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 25 მაისიდან.

2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა მარინე ქორიძემ და ერმილე მესხიამ აცილება განაცხადეს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, რადგან დაწესებულებასთან შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე

მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან აფთარაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ მასთან ერთად საკითხი შეისწავლა ლილი შატბერაშვილმა. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა მონიტორინგი, რომლის საფუძველი გახდა სტუდენტის განცხადება და გულისხმობდა სახელმწიფო სასწავლო გრანტისგან განსხვავებული სწავლის საფასურის დაწესებას (გაზრდილი რაოდენობით), საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების გარეშე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2.1 კომპონენტთან (ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა) და 5.1 კომპონენტთან (სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები) მოხდა საკითხის შესწავლა და წარდგენილ იქნა დასკვნა, მათ შეისწავლეს დოკუმენტაცია, როგორც დაწესებულების მიერ წარდგენილი, ისე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან ამონაწერსაც, საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ, სადაც, ზუსტად არის მითითებული ინფორმაცია სტუდენტების ჩარიცხვის პირობების შესახებ და ა.შ., ასევე განხორციელდა დისტანციური ვიზიტი, ინტერვიუები. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, წარდგენილ იქნა დასკვნა. საკითხი შეეხება კონკრეტულ პროგრამებს სადაც მოხდა სწავლის საფასურის გაზრდა, საუბარია 2017 წლიდან პერიოდზე, ისეთ პროგრამებზე, როგორებიცაა „სამართალი“, „ბიზნესის ადმინისტრირება“, „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“ და „ფინანსები და საბანკო საქმე“, ჯამში 4 პროგრამა, რომელთაგან 3 პროგრამაზე სწავლის ღირებულება გაზრდილი სახით შეადგენდა 2750 ლარს, ხოლო „საბანკო საქმეზე“ – 2500 ლარს. დაწესებულებისგან მიიღეს ინფორმაცია, რომ 2018 წელს დაწესებულებამ ნამდვილად მიმართა საქართველოს მთავრობას საფასურის გაზრდასთან დაკავშირებით, თუმცა წერილი გადამისამართებულ იქნა განათლების სამინისტროში, თუმცა, როგორც დაწესებულებამ განმარტა წერილობითი სახითა და ინტერვიუთი, E-flow-ში ასახულ იქნა ინფორმაცია, რომ აღნიშნული წერილი შესრულდა, თუმცა ოფიციალურად არანაირი წერილი საფასურის გაზრდასთან დაკავშირებით დაწესებულებას არ მიუღია, რაც დადასტურდა დაწესებულების მხრიდანაც. ექსპერტებმა შეისწავლეს ყველა დოკუმენტი სადაც შეიძლებოდა ყოფილიყო ინფორმაცია სწავლის საფასურთან დაკავშირებით, წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სწავლის საფასურის გაზრდის შესახებ, აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ანკეტა-კითხვარები, რომელიც იგზავნებოდა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, საბოლოოდ ხდებოდა მათი გაერთიანება გზამკვლევში და სტუდენტისთვის მიწოდება. ყველა ანკეტა-კითხვარში მითითებული იყო ყველა აღნიშნულ ანკეტა-კითხვარში სახელმწიფო სასწავლო გრანტისგან განსხვავებული თანხა იყო მითითებული, ასევე შესწავლილ იქნა შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული რამდენიმე სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულება, სადაც ფიქსირდება, რომ 2500-2750 ლარი სწორედ ამაზე იქნა ყურადღება გამახვილებული, რადგან სტუდენტები ინფორმირებულობის ნაწილში, თავიდანვე იყვნენ საქმის კურსში, ეს ეწერა, როგორს გზამკვლევში, ასევე ჩარიცხვამდე, გაფორმებულ ხელშეკრულებაში იყო ასახული.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე დაინტერესდა, 2017 წლამდე, სანამ კანონში შევიდა ცვლილება, იმის თაობაზე, რომ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით უნდა მომხდარიყო სწავლის საფასურის გაზრდა, სასწავლო გრანტისგან განსხვავებული ოდენობით დაწესების შემთხვევაში, სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის და ეს საფუძველი მანამდე ანკეტა-კითხვარების გატარების მისცათ უმაღლესი განათლების რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებულმა 2015-2016 სასწავლო წელს ჩარიცხულ სტუდენტებსაც უფრიქსირდებოდათ არა 2750 ლარი არამედ 2500 ლარი, თუმცა ესეც იყო განსხვავებული ოდენობა სასწავლო გრანტისგან. აღნიშნული, შესწავლილი დოკუმენტებისგან გამომდინარე, დასკვნაში წარდგენილი იყო ინფორმაცია, თუ რამდენი სტუდენტი იყო, ვისაც 2011-2016 წლებში განსაზღვრული ჰქონდათ სწავლის სხვა საფასური, ჯამში იყო 82 სტუდენტი და სორტირებული იყო სტატუსების მიხედვით, 2017-2020 წლებში კი საუბარი იყო 275 სტუდენტთან დაფიქსირდა ეს შემთხვევა, მონაცემები წარდგენილია 2021 წლის 17 მარტის ამონაწერის საფუძველზე, რაც შეეხებოდა უნივერსიტეტის მხრიდან ფაქტობრივ გარემოებებს უნივერსიტეტმა ვიზიტის დროს აცნობა, რომ 2021-2022 წლის ანკეტა-კითხვარებში უკვე შეცვლილი იყო და ფიქსირდებოდა ექვივალენტი სახელმწიფო გრანტისა - 2250 ლარი, დაწესებულებამ განმარტა ისიც, რომ იგეგმებოდა მიემართათ საქართველოს მთავრობისათვის სწავლის საფასურის ცვლილებასთან დაკავშირებით, იგეგმებოდა მისი გაზრდა, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროგრამების შემთხვევაში, პროგრამის ინტერნაციონალიზაციისა და პროფესორების მოზიდვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული ცვლილება, თუმცა არსებულ შემთხვევას, რაც დაფიქსირდა კანონთან შეუსაბამობა დაწესებულებას ვიზიტის დროს უკვე ჰქონდა შემუშავებული გეგმა, რომელიც ეხებოდა 2017 წლიდან ჩარიცხულ სტუდენტებისთვის და დაწესებულებას ჰქონდა იდენტიფიცირებული სია, რომლებისთვისაც სწავლის საფასურის დაბრუნების გეგმა შედგა, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის დაიგეგმა კორექტირება და წარადგინეს შესაბამისი შეთანხმების ფორმები, რომელთა მიხედვითაც მათ კონტრაქტებში შევიდოდა ცვლილება, გარდა ამისა სწავლის ზედმეტად გადახდილი საფასურის მომდევნო სემესტრებში გადატანა/გამოყენება, ხოლო ის სტუდენტები, რომელთაც უკვე დაასრულეს სწავლა ამ სტატუს შეწყვეტილები იყვნენ მათთვის ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასური დაბრუნება მოხდებოდა განცხადების საფუძველზე, რის შესახებაც დაწესებულებამ წარადგინა შესაბამისი გადაწყვეტილება წარმომადგენლობითი საბჭოსი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა თუ რამდენად იყო ინფორმაცია საჯარო და დადგინდა, რომ აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნებული იყო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სწავლის საფასურის უკან დაბრუნების ან შემდეგ სემესტრებში გამოყენების თაობაზე, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა დასვა კითხვა კურსდამთავრებულთა შესახებ და ამ შემთხვევაში ფორმალურად პროცედურა გაწერილი არ იყო ვიზიტის პროცესში, თუმცა ინტერვიუების დროს დაადასტურეს, რომ თუ ისინი მიმართავდნენ, მოხდებოდა აღნიშნული სწავლის საფასურის უკან დაბრუნება.
5.1 კომპონენტთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა შემდეგი რეკომენდაციები:

- განისაზღვროს კონკრეტული ფორმალური გეგმა კურსდამთავრებულთა მიერ ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურის უკან დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით და უზრუნველყოფილ იქნას კურსდამთავრებულთა სათანადოდ ინფორმირება;
- უზრუნველყავით სტუდენტთა მიერ ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურის უკან დაბრუნების უკვე შემუშავებული გეგმის რისკების შეფასება, მისი განხორციელება, მონიტორინგი და სტუდენტთა ინფორმირება;
- შესწავლილ იქნას 2011-2016 წლებში მაგისტრატურის საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტთა მიერ ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურის უკან დაბრუნების საკითხი, რისკების გათვალისწინებით შემუშავებულ იქნას რეაგირების გეგმა და უზრუნველყოფილ იქნას მისი განხორციელების მონიტორინგი.

რჩევის სახით გაიცა:

- სასურველია, შეიქმნას დროებითი კომისია, რომელიც დაკომპლექტდება შესაბამისი პასუხისმგებელი პირებით და უზრუნველყოფს ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების პროცესზე მონიტორინგს.

მან მადლობა გადაუხადა ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს, რადგან ექსპერტთა ჯგუფს მისცეს საშუალება ვიზიტი შედეგიანად წარემართათ.
ექსპერტი, ლილი შატბერაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ძალიან ვრცლად და ამომწურავად წარადგინა საქმის ვითარება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ექსპერტი ძირითადად მუშაობდა 2.1 კომპონენტზე, რომელის ორგანიზაციულ მართვას ეხებოდა, საინტერესო იყო ის, რომ პროცედურა, რომელი დაკავშირებულია საფასურის გაზრდასთან სასწავლო პროგრამებზე, უნდა გაევლო მრავალი საფეხური, დასკვნაში წარდგენილია, თუ როგორ ხდებოდა ეს საკმაოდ გრძელი ჯაჭვი, რომ საბოლოოდ მიღებული ყოფილიყო აღნიშნული გადაწყვეტილება, პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე შესაძლეებლი იყო მომხდარიყო იმ პრობლემატიკის დანახვა, იმ საკითხის, რომ ეს იყო კანონმდებლობით მოწესრიგებული და აუცილებელი იყო მთავრობასთან შეთანხმება, მოხდა ისე, რომ ვერცერთ ეტაპზე დადგინდა 7 წლის განმავლობაში, ის რაც მათთვის ცნობილი იყო 2014-2015 წლიდან უკვე მომატებული იყო საფასური, 7-ჯერ იქნა მიღებული პროგრამებზე აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ გადაწყვეტილება საფასურის მომატების შესახებ, თავად საორგანიზაციო სტრუქტურა და მართვა, ის დოკუმენტაცია, რაც წარდგენილი იყო, შეესაბამება ყველა იმ მოთხოვნებს, რომელიც არსებობს საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში, ამიტომ წუნი, როგორც ესეთი არ არსებობს დოკუმენტურად, პრობლემა არის განხორციელებაში ფუნქციებისა და იმ ინსტუტიციური ამოცანების, რომლებიც საორგანიზაციო ერთეულების წინაშეა დაყენებული. დასკვნაში წარდგენილია მთელი ჯაჭვი რა ეტაპზე და როგორ ხდებოდა განხილვა და ა.შ., რაც მოხდა საკმაოდ მძიმე გადაცდომა იყო, დადებითი მომენტი იყო, ის რომ დაწესებულებამ თვითონ გამოჩინა ინიციატივა მოეხდინა ანაზღაურება ამ სტუდენტებისათვის, რაც შეეხება ამ სტანდარტს, გაცემულია შემდეგი რეკომმენდაციები:

- განხორციელდეს ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა მისი ეფექტურობისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, მოხდეს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების განახლება, კომპეტენციებისა და პასუხისმგებლობის გადაფარვის თავიდან აცილების და ერთეულების შიგნით სუბორდინაციული კონტროლის მექანიზმის ჩამოყალიბების მიზნით;
- ბსუ-მა თავისი მართვის და დამხმარე სტრუქტურების ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად უნდა გააძლიეროს ინსტიტუციური მიდგომა, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ადამიანური შეცდომის ფაქტორი;
- განსაკუთრებით გაანალიზებულ და ოპტიმიზირებულ იქნას იურიდიული და აუდიტის სამსახურების ფუნქციონირების ეფექტურობა.

ასევე გაიცა რჩევა:

- სასურველია ახალი საკითხის ან წესის შემოღებისას მოხდეს საკითხის განხილვის და დამტკიცების პროცედურული სქემის მკაფიო განსაზღვრა და საწყისი წარმოების მიმდინარეობისა და განხორციელებისთვის ერთი პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის ან პირის იდენტიფიცირება.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს ექსპერტს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ორგანიზაციული სტრუქტურა/პროცედურული საკითხები, მიხედავად იმისა რომ აღნიშნული საკითხი გააზრებული ჰქონდათ მკაფიო წარმოდგენა.

საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა დააზუსტა თუ რას გულისხმობდა ექსპერტი ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწაში, რადგან საჯარო სამართლის იურიდიული პირზე იყო საუბარი, შესაბამისად უმაღლესი განათლების შესახებ კანონით იყო სტრუქტურის ძირითადი კომპონენტები განსაზღვრული და წესდება, რომლის საფუძველზეც მოქმედებს განასახილველი სასწავლო დაწესებულება, მტკიცდებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რას გულისხმობდა ექსპერტი სამსახურების დონეზე ჯობია, უფრო მკაფიოდ გაიწეროს ფუნქციები, თუ ადამიანურ ფაქტორთან და ამ კუთხით უნდა იყოს გადახედილი.

ექსპერტმა, ლილი შატბერაშვილმა განაცხადა, რომ დოკუმეტი საორგანიზაციო სტურქტურა, ფუნქციები, საორგანიზაციო ერთეულები დაწესებულებას გაწერილი ჰქონდა და შესაბამმისობაში იყო ყველა იმ მოთხოვნასთან, რომელიც არსებობდა, საკითხი მგომარეობდა იმაში, რომ ერთეულების, ცალკეული სამსახურების დონეზე, უნივერსიტეტს კიდევ ერთხელ უნდა გადაეხედა/გადაემოწმებინა ის ფუნქციები, რომლებიც მას დადგენილი ჰქონდა ერთეულებისა და ცალკეული პიროვნებებისადმი, უნდა მომხდარიყო, მათი ერთმანეთში კომპილაცია, არ უნდა მომხდარიყო, რომ ერთ ერთეულის მიეერ მისი ფუნქციის შესრულება არ დამთავრებულიყო, არამედ უნდა ყოფილიყო წინაპირობა პროცედურული საკითხის შემდგომი გაგრძელებისა.

საბჭოს წევრმა, დავითბოსტოღანაშვილმა დაძინა, რომ ანუ უნდა მომხდარიყო პროცესების მონიტორინგი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ უნდა მომხდარიყო მონიტორინგი უკვე მიმდინარეობისას, რადგან ინსტიტუციურად მონიტურინგის ფუნქცია ისედაც ჰქონდა უნივერსიტეტს, ექსპერტს მიაჩნდა, რომ უნდა ხდებოდეს ერთდროულად, რაღაც პროცედურული საკითხის შესრულებისას ერმანეთის შემოწმება არა, არამდე დამოკიდებულება.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

რექტორი, მერაბ ხალვაში მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ მას სურდა დაეზუსტებინა რამდენიმე ფაქტორი, ექსპერტი საუბრობდა, რომ პროგრამებზე სწავლის საფასური გაზრდილი იყო 2014 წლიდან, რეალურად კი სწავლის საფასური აღნიშნულ პროგრამებზე გაიზარდა 2008 წლიდან, მაშინ, როდესაც კანონში ცვლილებები არ იყო შეტანილი, რომლებიც შევიდა 2011 წელს, უნივერსიტეტში კი სწავლის საფასური მომატებულია 2008 წლიდან, 2008, 2009, 2010 წელი და 2011 წელს სანამ კანონში ცვლილება შევიდოდა, მანამდე უნივერსიტეტის სპეციალურმა სამსახურმა დაადგინა ტარიფი სხვადსხვა საფეხურის, მათ შორის სამაგისტრო პროგრამების, მაშინ, როდესაც 2011 წელს კანონში შევიდა ცვლილებები, მოხდა ის, რომ შეტანილი ცვლილება გამოეპარა უნივერსიტეტს, ისარგებლა 2011 წლის კანონში შეტანილ ცვლილებამდე დადგენილი ტარიფით და შემდგომ გააგრძელა, რაზეც ექსპერტმა ისაუბრა 2013, 2014, 2015 წლებში გრძელდებოდა აღნიშნული სიტუაცია კონკრეტულად აღნიშნულ პროგრამებთან მიმართებით, 2016 წელს უნივერსიტეტში შეიცვალა ადმინისტრაცია და 2017 წელს, როდესაც დადგა მაგისტრატურაში გამოცხადების საკითხი, მაშინ გახდა ცნობილი, რომ კანონში შეტანილი იყო ცვლილება და სწავლის საფასურის გაზრდისთვის უნივერსიტეტს უნდა მიემართა მთავრობისათვის, 2018 წლის 2 თებერვალს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ პრემიერმინისტრის სახელზე გააგზავნა წერილი, რომელიც შემდეგ გადაეგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ვინაიდან მისი სივრცეა უნივერსიტეტი რექტორმა საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა, რომ E-flow-ში იყო ჩანაწერი - „დასრულებულია“, შედეგში კი „შესრულებულია“, უნივერსიტეტს წერილობითი ფორმით თანხმობა არ მიუღია, შესაბამისად, მყისიერი რეაგირება უნდა მოეხდინათ, ეს მოხდა 2018 წელს და 2019 წლიდან უნივერსიტეტმა დაიწყო მუშაობა აღნიშნული მიმართულებით, თუმცა შემდგომ ამას მოყვა სტუდენტის მიმართვა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსადმი, დაწესებულების წარმომადგენლებს აღნიშნულ სტუდენტთანაც ჰქონდათ შეხვედრა და განუმარტეს, რომ დაწესებულება მუშაობს ამ საკითხზე, აჩვენეს წერილები და ა.შ.

ეს პერიოდი იყო, როდესაც მიმდინარეობდა პანდემია, უნივერსიტეტი მთლიანად გადავიდა ონლაინ სწავლებაზე და ამ პროცესებში იყო ჩართული, სტუდენტს განუმარტეს, რომ იგი ფინანსურად არ დაზარალდებოდა, რადგან ეს ის პერიოდი იყო, როდესაც სწავლის საფასურს სტუდენტები ფაქტობრივად ვერ იხდიდნენ, უნივერსიტეტი კი სხვადასხვა მექანიზმებით ავადებდა სწავლის საფასურს და დაწესებულება მოახერხებდა აღნიშნული საკითხების მოგვარებას. უნივერსიტეტში ავტორიზაციის საკითხების შესახებ ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2 მარტს და თებერვალში დაწესებულებამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, რაც გულისხმობდა წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებას, მისი მიხედვით მოხდა კორექტირება 3 პროგრამაზე და სწავლის საფასური დაუბრუნდა 2250 ლარს. უნივერსიტეტმა დეტალურად შეისწავლა, შეადგინა სია და მოქმედ სტუდენტებს, რომელებმაც გამოთქვეს სურვილი, რომ სწავლის საფასური ჩარიცხულიყო შემდეგი სემესტრის გადასახადად, ასე ჩაეთვალათ, სულ 241 ასეთი სტუდენტი იყო ყველა პროგრამაზე, ხოლო სტუდენტებმა რომელებიც იყვნენ მე-3 ან მე-4 სემესტრში და ჰქონდათ გადახდილი თანხა, 60-მდე სტუდენტი იყო, მათგან დაახლოებით ნახევარზე გაიცა, მეორე ნახევარზე კი მიმდინარეობდა დაბრუნების პროცესი, წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაიცა რექტორის სამართლებრივი აქტი, რომლის თანახმადაც, მოხდა ხელშეკრულების ახლიდან გაფორმება და შემდგომ დაიწყო პროცესი, რომელზეც უკვე ისაუბრა, თანხის შემდეგ სემესტრში დარიცხვა ან სტუდენტის ნების შემთხვევაში თანხის უკან დაბრუნების პროცესი, ამით ხაზი გაუსვა იმას, რომ მოქმედი სტუდენტების უფლებები დაცულია და მათ დაუბრუნდათ თანხა, მაგრამ საუბარი, რომ სტუდენტებს არ ჰქონდათ ინფორმაცია სწავლის საფასურის გაზრდაზე, რომ შეადგენდა არა 2250 ლარს, მათ იცოდნენ მანამ, სანამ გააკეთებდნენ განაცხადს, ასევე ხელშეკრულებაზე ჰქონდათ ხელი მოწერილი, სადაც დაფიქსირებული იყო სწავლის საფასური. პრობლემა, რომელიც ეხება მოქმედ სტუდენტებს ამ ეტაპზე მოგვარებულია და სრულად გადაწყვეტილია.

კურსდამთავრებულებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ მიმდინარეობდა დეტალური შესწავლა, 2011-2016 სასწავლო წლების ჩათვლით დაწესებულებას ყავდა 412 კურსდამთავრებული, რომლებიც ექვემდებარება სწავლის საფასურის უკან დაბრუნებას, დაწესებულებამ უკვე მიაწოდა შეტყობინება, ასანაზღაურებელი თანხა შეადგენდა 206 000 ლარს. 2016-2017 წლებში 125, მთლიანობაში უკან დასაბრუნებელი იყო 331 000 ლარი.

რისკების შესახებ მან განმარტა, რომ უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობა იძლეოდა საშუალებას 1 წლის მანძილზე, ყველა რეგულაციის დაცვით, ინფორმირებულობა, მიმართვიანობის თუ ა.შ. საფუძველზე რაც იქნება საჭირო 1 წლის მანძილზე მოხდეს თანხების გაცემა. პროცესი უნივერსიტეტში დაიწყო 2008 წლიდან, უნივერსიტეტი აღიარებდა პროცედურულ დარღვევას, ღებულობდა პასუხისმგებლობას, მოქმედ სტუდენტებთან მიმართებით პრობლემა ამოწურული იყო, ხოლო კურსდამთავრებულებთან მიმართებით პროექტი მიღებული იყო, დათვლილი იყო კურსდამთავრებულები წლებისა და პროგრამების მიხედვით, ასევე გათვლილია თანხა, რომელიც საჭიროა დაუბრუნდეთ სტუდენტებს.

მისი თქმით გასათვალისწინებელი იყო რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა ორგანიზაციულ სტრუქტურას, უნივერსიტეტი იმუშავებს აღნიშნულ საკითხზე, მან განაცხადა, რომ იყო კომუნიკაციის პრობლემა აღნიშნულ საკითხზე და საკამოდ ხანგრძლივ პერიოდში იყო გაწერილი, ყურადღების მიღმა დარჩა ეს ყველაფერი, შესაბამისად უნივერსიტეტი გეგმავდა ემუშავა ამ მიმართულებით და შესაბამის დროში წარმოედგინა შედეგი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა დრო სჭირდებოდა დაწესებულებას პრობლემის სრულად აღმოსაფხვრელად.

რექტორმა განაცხადა, რომ სჭირდებოდათ 1 წელი კურსდამთავრებულებთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მონიტორინგის გზით დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შემთხვევაში საბჭოს სულ 4 გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა ჰქონდა: (1) წარმოების შეწყვეტა; (2) აღმოფხვრაზე

ვადის გაცემა, რომელიც არ აღმატება 60 დღეს; (3) სტუდენტების მიღების შეზღუდვა და (4) ავტორიზაციის გაუქმება. დაინტერესდა თუ როგორ იქნებოდა იურიდიულად, რადგან საბჭოს არ ჰქონდა სხვა გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, ხარვეზი ან უნდა აღმოფხვრილიყო 60 დღეში, ან თუ არსებობს სხვა გამოსავალი.

რექტორმა განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო, რადგან უნივერსიტეტს კურსდამთავრებულთა მსია დაზუსტებული ჰქონდა, ჰქონდათ ზუსტი ინფორმაცია და თანხა ჰქონდათ სრულად შესწავლილი, 2 თვეშიც შესაძლებელია მოგვარება, რექტორი შეეცადა აეღოთ უფრო დიდი პერიოდი, თუმცა ცელს არ უშლიდა, რომ 2 თვეში განეხორციელებინათ.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭოს იურიდიულად არ ჰქონდა ვადის მეტად გაგრძელების უფლება და სწორედ ამიტომ მიმართა იურისტებს.

საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, მისი თქმით ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ კონკრეტული პრობლემა იყო დანახული, მათ შორის, სწორად დანახული და დაწესებულებას ჰქონდა გაცნობიერებული პროცედურული ხარვეზი/გაუგებრობა თუ ორგანიზაციული პრობლემა, ფაქტი იყო ერთი, რომ დაირღვა სტუდენტის უფლებები - განათლებაზე, რაც კონსტიტუციით გარანტირებული უფლება იყო და მასზე პასუხისმგებლობა პირველ რიგში სსიპ-ებს ეკუთვნოდათ. დაწესებულება სწორად ხედავდა პრობლემის აღმოფხვრის გზებსაც, რაც რექტორმა განაცხადა, რომ ჯერ გადაწყვეტილება არ იყო მიღებული, კურსდამთავრებულებთან მიმართებაში, საბჭოს წევრის მოსაზრებით გადაწყვეტილების მიღებისთვის 60 დღიან ვადა სრულიად საკმარისი იყო და აღსრულება როგორ მოხდება ეს კურსდამთავრებულებზეა დამოკიდებული, თუ მან არ გამოთქვა სურვილი დაწესებულებას შესაძლებელია 10 წელიც ვერ გადაეხადა თანხა, ამიტომ საბჭოს აქცენტი უნდა გაეკეთებინა კურსდამთავრებულებთან დაკავშირებით მისაღები გადაწყვეტილების პროცედურა უნდა ყოფილიყო ბოლომდე მიყვანილი, რისთვისაც 60 დღიანი ვადა სრულებით საკმარისი უნდა ყოფილიყო.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით უნივერსიტეტისთვის საბჭოს არ უნდა დაეკისრებინა, მაგრამ ინფორმირება კურსდამთავრებულები უნივერსიტეტს თავისი ძალებით უნდა მოეხერხებინა.

რექტორმა განაცხადა, რომ კურსდამთავრებულთა ინფორმირება უკვე მოახერხეს და რა ციფრებზეც ისაუბრა მათგან 125-მა სტუდენტმა უკვე მიმართა დაწესებულებას წერილობით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი კურსდამთავრებული იყო სულ.

რექტორმა აღნიშნა, რომ სულ იყო 412 კურსდამთავრებული, საიდანაც 125-მა უკვე მიმართა დაწესებულებას..

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა 125-მა კურსდამთავრებულმა მიმართა დაწესებულებას რომ მიიღებდნენ თანხას თუ უარს ამბობდნენ მასზე და ეჩუქებინათ უნივერსიტეტისათვის.

რექტორმა განმარტა, რომ ითხოვდნენ თანხას, დაწესებულებამ კი არა მხოლოდ 125 კურსდამთავრებულს, არამედ ყველას მიმართეს, რომ უახლოეს პერიოდში განიხილავდა უნივერსიტეტი და დაუბრუნდებოდათ თანხა.

საბჭოს წევრის, ივანეაბაშიძის თქმით დაწესებულების წარმომადგენელმა ახსენა, რომ გადანაწილებული იყო საკმაოდ დიდ პერიოდზე, დაინტერესდა თუ რამდენად განახლებული ინფორმაცია ჰქონდათ კურსდამთავრებულთა შესახებ, როგორ მოახერხეს მათთან კომუნიკაცია და იციან თუ არა, რომ ყველამ მიიღო ინფორმაცია, ვინც ზემოაღნიშნული წლების განმავლობაში დაამთავრა, რადგან, როგორც ითქვა მოკლე ტექსტური შეტყობინებები გაეგზავნათ და როგორ დაორგანიზდა აღნიშნული პროცესი.

რექტორმა განაცხადა, რომ ეს იყო სტუდენტების ბაზა, რომელიც დაწესებულებას ჰქონდა, 2015 წლიდან გაუადვილდათ, რადგან ერთიანი პორტალი ჰქონდათ, რამაც გაამარტივა, მანამდე სტუდენტებთან კი გამოიყენეს არსებული ბაზა, რომელიც მათ ჰქონდათ, 2 თვიანი პერიოდი

ალბათ საკმარისი იქნება გამოსასწორებლად, თუმცა რამდენიმე, ასევე იყო გამონაკლისები, რომელთაც ვერ დაუკავშირდნენ, დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურები მუშაობდნენ, რათა დაკავშირებოდნენ ყველა სტუდენტს.
საბჭოს წევრი დაინტერესდა იყო თუ არა საჯარო განცხადება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. რაზეც რექტორმა უპასუხა, რომ იყო საჯარო განცხადებაც.
საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ განაცხადა, რომ დასკვნის მიხედვით აღნიშნული ინფორმაცია განთავსებული იყო ვებ-გვერდზე, მაგრამ ჯერ არ იყო შემუშავებული კურსდამთავრებულებთან დაკავშირებული წესი.
რექტორმა უპასუხა, რომ კურსდამთავრებულებთან დაკავშირებით არსებობდა პროექტი, რომელიც უნდა დამტკიცებულიყო წარმომადგენლობით საბჭოზე, ფაქტიურად ანალოგიურ პროექტი იყო, რომელიც დაამტკიცეს მოქმედ სტუდენტებთან დაკავშირებით, ნიუანსებით განსხვავდებოდა, მაგრამ სქემა იყო საერთო. 2015 წლიდან კურსდამთავრებულებთან დაკავშირება გაუადვილდათ, რადგან ერთიანი პორტალი ჰქონდათ, რამაც გაამარტივა, მანამდე სტუდენტებთან კი გამოიყენეს არსებული ბაზა,
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, რადგან კითხვები აღარ იყო საბჭო გავიდა შესვენებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 18:07 წუთზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 18:13 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის დაფიქსირებული ხარვეზის გამოსასწორებლად 60 დღეში ანგარიშის წარმოდგენის საკითხი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, იშუამდგომლოს განათლებისა და მეცნერების სამინისტროსთან მსგავსი ხარვეზის სისტემურ დონეზე აღმოსაფხვრელად, რათა სამომავლოდ აცილებულ იქნას ამგვარი შემთხვევები.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლი პირველი, მე-12 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაფიქსირებული ხარვეზის გამოსასწორებლად ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 60 დღის ვადა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ ზარანდიამ.

3. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა;
ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა ზურაბ ორჯონიკიძემ და ეკა ეკალაძემ განაცხადეს თვითაცილების შესახებ, რადგან შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდნენ დაწესებულებასთან. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
ცენტრის დირექტორის მოადგილემ, ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მსგავსი საკითხი გადიოდა ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე, რისი საფუძველიც გახდა 2021 წლის მარტში განხორციელებული ცვლილებები ავტორიზაციის დებულებაში, აღნიშნული ცვლილებები დაეფუძნა ENCA-ს რეკომენდაციებსა და სახელმწიფო აუდის რეკომენდაციებს, რომლებსაც ცენტრს ურჩიეს, რომ მას ერთპიროვნულად არ მიეღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე, რომელიც დაწყებული იყო მონიტორინგთან დაკავშირებით და მომხდარიყო საბჭოსთვის ცენტრის მოსაზრებების გაზიარება, თუ რატომ თვლიდნენ, რომ არ ირღვეოდა ავტორიზაციის სტანდარტი მოცემულ შემთხვევაში და რატომ წყვეტდნენ ადმინისტრაციულ წარმოებას. რაც შეეხებოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებას, ერთ-ერთმა უნივერსიტეტმა მიმართა ცენტრს განცხადებით, რომ ამს შეეზღუდა გერმანიაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში 2020 წელს, დაწესებულების პოზიცია კი მდგომარეობდა შემდეგში, რომ ვინაიდან იყო პანდემია არსებობდა მთავრობის განკარგულება 2020 წლის 12 მარტის, 529-ე, ადგენდა ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებებს, აღნიშნული განკარგულების ფარგლებში შეზღუდული იყო მივლინებები. ცენტრს ჰქონდა მიმოწერა უნივერსიტეტთან, რამდენჯერმე მიმართეს კითხვით და მიიღეს შესაბამისი პასუხები, ცენტრმა მოახდინა რეაგირება და მიმართა მთავრობას, რომ შესულიყო ცვლილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებით შეცვლილიყო შეზღუდვები, იმ ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით რაც საქართველოში ვიპოვეთ, მთავრობამ განკარგულებაში შეიტანა ცვლილება 2021 წლის 4 მაისს და შესაბამისად უმაღლესი დაწესებულების ფარგლებში, ასევე პროფესორ-მასწავლებლების მივლინება საზღვარგარეთ აღარ არის შეზღუდული. შესაბამისად ეცნობა განმცხადებელ სტუდენტსაც და აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, გაიტანდნენ საკითხს საბჭოზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ, რისი მიზეზიც იყო ის, რომ ცენტრი ვერ ხედავდა ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევის სავარაუდო ფაქტებს.
მან დააყენა შუამდგომლობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განცხადებაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-88 მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებით.

18:15 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა ზურაბ ორჯონიკიძემ.

4. შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხის განხილვა.

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მათ არ ჰქონდათ თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ცენტრის დირექტორის მოადგილემ, ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ წარდგენილი იყო თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის განცხადება, 2020 წელს, ეტაპობრივად იგი წარმოადგენდა, როგორც დაზუსტებებს თავის პირვანდელ განცხადებასთან დაკავშირებით, ისე დამატებით გარემოებებს. ცენტრს ჰქონდა მიმოწერა დაწესებულებასთან, შედგა „ონლაინ“ კონსულტაცია მათთან, მიიღეს შესაბამისი პასუხები. საკითხი ეხებოდა შემდეგს, რომ დადგა კანონმდებლობის მიხედვით სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერების ერთ-ერთი წინაპირობა, ფინანსური დავალიანების ფაქტი, თუმცა უნივერსიტეტმა არ განახორციელა სტატუსის შეჩერება და განახორციელა გარკვეული პერიოდის შემდეგ, რომელიც მოიცავდა 2-3 წელს. უნივერსიტეტის პოზიცია იყო, რომ გაითვალისწინეს სტუდენტის ინტერესები, მას ჰქონოდა აქტიური სტუდენტის სტატუსი, დასწრებოდა ლექციებს და ა.შ., ამასთანავე დაწესებულებამ მიუთითა არგუმენტაციაში, იმ გარემოებაზე, რომ კანონმდებლობით არ იყო დადგენილი ვადა, თუ სტატუსის შეჩერების მომენტის დადგომიდან რა ვადაში უნდა განახორციელოს დაწესებულებამ შემდეგი ქმნილება. ბუნებრივია ყველაფერი ეცნობებოდა განმცხადებელს და 17 მარტს ცენტში შევიდა იგივე სტუდენტის წერილი, რომ ითხოვდა წარმოების შეწყვეტას, რადგან უნივერსიტეტსა და მას შორის შედგა მოლაპარაკება და შეთანხმდნენ ყველა იმ საკითხზე, რასაც თავის პირვანდელ განცხადებაში აყენებდა, რაც ძალიან მისასალმებელია ცენტრის მხრიდან, რომ შედგა შეთანხმება, აქედან გამომდინარე ცენტრი ვერ ხედავდა ვერანაირ საფუძველს ადმინისტრაციული წარმოების გასაგრძელებლად.

მან დააყენა შუამდგომლობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 14
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განცხადებაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-88 მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 18:23 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ორჯონიკიძე ზურაბ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
მოადგილე
ზარანდია თამარ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით